

სს “ენერგოსერვისი”

(ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(არააუდირებული)

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები ლარში)

		12/31/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	5		
ძირითადი საშუალებები		385,740	395,206
არამატერიალური აქტივები		4,790	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
		390,530	395,206
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	974,766	1,955,707
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები	6	1,954,276	3,491,873
სასაქონლო მატერიალური მარაგი	8	270,518	504,801
		3,199,560	5,952,381
მთლიანი აქტივები		3,590,090	6,347,587
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		73,112	73,112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	1,873,616	4,419,476
		1,946,728	4,492,588
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	10		
მოკლევადიანი სესხები		0	909,531
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,505,892	945,468
საგადასახადო ვალდებულებები		137,470	0
		1,643,362	1,854,999
მთლიანი ვალდებულებები		1,643,362	1,854,999
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,590,090	6,347,587

დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე



29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი - 2024 წელი

(თანხები ლარში)

		2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	11	11,455,487	18,796,002
თვითღირებულება	14	-4,626,637	-12,834,692
საერთო მოგება		6,828,850	5,961,310
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1,853,583	-1,405,693
ცვეთა და ამორტიზაცია		-26,040	-27,526
საპროცენტო შემოსავალი		126,811	35,049
საპროცენტო ხარჯი		-9,376	-247,902
იჯარის ხარჯი		-2,231	-549
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	-889,544	-192,038
საოპერაციო მოგება		4,174,887	4,122,651
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	12	-133,120	468,962
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	13	18,185	-11,967
ფინანსური შემოსულობა/ხარჯი - წმინდა		-114,935	456,995
მოგება დაბეგვრამდე		4,059,952	4,579,646
მოგების გადასახადი	16	-990,872	-222,817
წმინდა მოგება		3,069,080	4,356,829
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,069,080	4,356,829

დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე

(Handwritten signatures of Vazha Lomidze and Davit Lomidze)



29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,325,279	1,398,391
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		4,356,829	4,356,829
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-1,262,632	-1,262,632
სხვა ცვლილება			0
2023 წლის 31 დეკემბერი	73,112	4,419,476	4,492,588
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		3,069,080	3,069,080
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-5,614,940	-5,614,940
სხვა ცვლილება			0
2024 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,873,616	1,946,728

დირექტორი: ვაჟა ლომიძე

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე



29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სარჩევი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
➤ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. კომპანია და მისი საქმიანობა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	10
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	11
5. ძირითადი საშუალებები	12
6. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები	12
8. სასაქონლო მატერიალური მარაგი	12
9. კაპიტალი	13
10. მოკლევადიანი ვალდებულებები	13
11. შემოსავალი	14
12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14
13. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	14
14. თვითღირებულების ხარჯი	14
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14
16. მოგების გადასახადი	15
17. საგადასახადო კანონმდებლობა	15
18. მენეჯმენტის ანაზღაურება	16
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	16

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები ლარში)

		12/31/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	5		
ძირითადი საშუალებები		385,740	395,206
არამატერიალური აქტივები		4,790	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
		390,530	395,206
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	974,766	1,955,707
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები	6	1,954,276	3,491,873
სასაქონლო მატერიალური მარაგი	8	270,518	504,801
		3,199,560	5,952,381
მთლიანი აქტივები		3,590,090	6,347,587
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		73,112	73,112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	1,873,616	4,419,476
		1,946,728	4,492,588
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	10		
მოკლევადიანი სესხები		0	909,531
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,505,892	945,468
საგადასახადო ვალდებულებები		137,470	0
		1,643,362	1,854,999
მთლიანი ვალდებულებები		1,643,362	1,854,999
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,590,090	6,347,587

დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე / _____/

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ენერგოსერვისი

➤ სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი - 2024 წელი

(თანხები ლარში)

		2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	<u>11</u>	11,455,487	18,796,002
თვითღირებულება	<u>14</u>	-4,626,637	-12,834,692
საერთო მოგება		6,828,850	5,961,310
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1,853,583	-1,405,693
ცვეთა და ამორტიზაცია		-26,040	-27,526
საპროცენტო შემოსავალი		126,811	35,049
საპროცენტო ხარჯი		-9,376	-247,902
იჯარის ხარჯი		-2,231	-549
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>15</u>	-889,544	-192,038
საოპერაციო მოგება		4,174,887	4,122,651
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	<u>12</u>	-133,120	468,962
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	<u>13</u>	18,185	-11,967
ფინანსური შემოსულობა/ხარჯი - წმინდა		-114,935	456,995
მოგება დაბეგვრამდე		4,059,952	4,579,646
მოგების გადასახადი	<u>16</u>	-990,872	-222,817
წმინდა მოგება		3,069,080	4,356,829
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,069,080	4,356,829

დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე / _____/

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ენერგოსერვისი

➤ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,325,279	1,398,391
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		4,356,829	4,356,829
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-1,262,632	-1,262,632
სხვა ცვლილება			0
2023 წლის 31 დეკემბერი	73,112	4,419,476	4,492,588
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)		3,069,080	3,069,080
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-5,614,940	-5,614,940
სხვა ცვლილება			0
2024 წლის 31 დეკემბერი	73,112	1,873,616	1,946,728

დირექტორი: ვაჟა ლომიძე / _____/

ფინანსური მენეჯერი: დავით ლომიძე / _____/

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ენერგოსერვისი

➤ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს ენერგოსერვისი (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული 1999 წლის 2 ივლისს. მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ., N2, მე-3 სართ.

კომპანიის პარტნიორები არიან: ვაჟა ლომიძე - 40.002%, დავით ლომიძე - 29.999%, გრიგოლ ლომიძე - 29.999%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად; ელექტრული მოწყობილობების რემონტი; სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად; საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით; საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას მომავალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა

მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, რომელზეც არ ხდება ცვეთის დარიცხვა. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

შენობა ნაგებობები	25-35
მანქანა დანადგარები	5-25
ავეჯი და ინვენტარი	5-25
სატრანსპორტო საშუალებები	6-25

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს იმ არაფინანსური აქტივებზე, რომელიც გაუფასურდა, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია

მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გაშლავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება;
- დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	არამატერიალ ური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2023	10,000	67,710	547,079	28,045	463,141	2,790	1,118,765
შემოსვლა			10,500	5,639		5,225	21,364
გადაფასება							0
გასვლა						-2,790	-2,790
31 დეკემბერი 2024	10,000	67,710	557,579	33,684	463,141	5,225	1,137,339
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2023		-42,729	-311,087	-22,405	-344,548	-2,790	-696,777
პერიოდის ცვეთა		-976	-12,366	-967	-11,296	-435	-26,040
გასვლა						2,790	2,790
31 დეკემბერი 2024		-43,705	-323,453	-23,372	-355,844	-435	-720,027
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	10,000	24,981	235,992	5,640	118,593	0	395,206
31 დეკემბერი 2024	10,000	24,005	234,126	10,312	107,297	4790	390,530

31.12.2024 - ის მდგომარეობით საშუალებები შეფასებულია თვითღირებულების მოდელით.

ცვეთის მეთოდი: წრფივი.

6. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდ. აქტივები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	1,882,876	255,312
გაცემული ავანსები	67,424	2,780,606
სხვა მოთხოვნები	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	2,139
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,976	453,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,954,276	3,491,873

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ფული სალაროში	248	190
ფული საბანკო ანგარიშებზე	974,518	1,955,517
სულ	974,766	1,955,707

8. სასაქონლო მატერიალური მარაგი

	31-დეკ-24	31-დეკ-23
ნედლეული და მასალები	263,824	497,484
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	6,694	7,317
სულ	270,518	504,801

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

9. კაპიტალი

	31-დეკ-24	31-დეკ-23
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	4,492,588	1,398,391
მოგება წლის განმავლობაში (მთლიანი სრული შემოსავალი)	3,069,080	4,356,829
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-5,614,940	-1,262,632
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,946,728	4,492,588

10. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-დეკ-24	31-დეკ-23
მოკლევადიანი სესხები	-	909,531
საგადასახადო ვალდებულებები	137,470	-
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,505,892	945,468
- სავაჭრო ვალდებულებები	84,707	945,468
- ვალდებულება ფიზიკური პირების წინაშე გარდა თანამშრომლებისა	-	-
- გადასახდელი ხელფასები	273,000	-
- მიღებული ავანსები	-	-
- ანარიცხები (საგარანტიო მომსახურების)	591,987	-
- მფლობელების შენატანი კაპიტალის გასაზრდელად	26,888	-
- სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელი თანხა	529,310	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,643,362	945,468

შენიშვნა:

- სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელი** - სს ენერგოსერვისი, წინა წლებში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით 2024 წლის 26 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაეკისრა მომსახურების მიმღებ კომპანიის სასარგებლოდ 759,866 ლარის და ასევე სახელმწიფო ბაჟის 10,460 ლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო შეგებულ სარჩელზე მოპასუხეს დაეკისრა 237,216 ლარის და ასევე, სახელმწიფო ბაჟის 3,800 ლარის გადახდა. შეთანხმების შედეგად მოხდა თანხების ურთიერთგაქვითვა და სს ენერგოსერვისის ნარჩენმა ვალდებულებამ შეადგინა 529,310 ლარი. არსანიშნავია, რომ სადავო მომსახურება - ტექნიკის იჯარა ოპერატორთან/მძღოლთან ერთად (დავის საგანს შეადგენდა მოგვიანებით გამოვლენილი მძღოლების არაკეთილსინდისიერი ქმედება) მიმღები კომპანიის მიერ შესრულების პერიოდში აღიარებული იყო მიღება-ჩაბარების აქტით, ასევე, დადასტურებული იყო ჩვენს მირ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა და სრულად იყო ანაზღაურებული შესრულებული მომსახურება. შესაბამისად ეს თანხები წინა პერიოდში არ იყო აღიარებული საექვო მოთხოვნებში;
- ანარიცხები (საგარანტიო მომსახურების)** - არის მენეჯმენტის შეფასებითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულება, რომელიც უკავშირდება 2024 წელს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ საგარანტიო მომსახურების ხარჯებს, რომლის გაწევის ვალდებულებაც კომპანიას აქვს პროექტის დასრულებიდან სამი წლის პერიოდში. მენეჯმენტის შეფასებით საგარანტიო სამუშაოების ხარჯი მოსალოდნელია ხელშეკრულების მთლიანი თანხის 2% ფარგლებში.

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

11. შემოსავალი

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	2,314	42,309
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	268,477	483,687
შემოსავალი ელექტროექსპლუატაციის მშენებლობიდან	11,184,696	18,270,006
სხვა შემოსავალი	-	-
სულ	11,455,487	18,796,002

12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024 წელი	2023 წელი
არასაოპერაციო შემოსულობა (სავალუტო ოპერაციებიდან)	53,962	566,792
არასაოპერაციო ზარალი (სავალუტო ოპერაციებიდან)	-187,082	-97,830
სულ	-133,120	468,962

13. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2024 წელი	2023 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,985	90
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-800	-12,057
სულ	18,185	-11,967

14. თვითღირებულების ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-1,017	-14,865
მასალის ხარჯი	-3,418,248	-12,494,335
მომსახურებები	-615,385	-325,492
საგარანტიო მომსახურების ხარჯები	-591,987	-
სულ	-4,626,637	-12,834,692

შენიშვნა: საგარანტიო მომსახურების ხარჯები - არის მენეჯმენტის შეფასებითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ხარჯი, რომელიც უკავშირდება 2024 წელს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ საგარანტიო მომსახურების ხარჯებს, რომლის გაწევის ვალდებულებაც კომპანიას აქვს პროექტის დასრულებიდან სამი წლის პერიოდში. მენეჯმენტის შეფასებით საგარანტიო სამუშაოების ხარჯი მოსალოდნელია ხელშეკრულების მთლიანი თანხის 2% ფარგლებში.

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები	2024 წელი	2023 წელი
ბანკის მომსახურების ხარჯი	-5,841	-9,320
კონვერტაციის ხარჯი	-2,780	-49,863
კომუნალური ხარჯი	-4,778	-4,728
საკანცელარიო ხარჯი	-674	-345
სამეურნეო ხარჯი	-	-
კომუნიკაციის ხარჯი	-4,956	-5,693
წარმომადგენლობითი ხარჯი	-5,392	-4,964
სხვა საგადასახადო ხარჯი	-10,362	-6,682

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ენერგოსერვისი“ (ს.კ. 200060502)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საპენსიო ხარჯი	-31,197	-26,068
დაზღვევის ხარჯი	-23,520	-81,143
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	-40,178	-3,232
სხვა საოპერაციო ხარჯი	-759,866	-
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	-889,544	-192,038

შენიშვნა: სხვა საოპერაციო ხარჯი - სს ენერგოსერვისის წინა წლებში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით 2024 წლის 26 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა მომსახურების მიმღებ კომპანიის სასარგებლოდ 759,866 ლარის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული მომსახურება წინა პერიოდში მიმღები კომპანიის მიერ აღიარებული იყო მიღება-ჩაბარების აქტით, დადასტურებული იყო ჩვენს მირ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა და სრულად იყო ანაზღაურებული შესრულებული მომსახურება. შესაბამისად ეს თანხები წინა პერიოდში არ იყო აღიარებული საეჭვო მოთხოვნებში, შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილების თარიღში აღიარდა სხვა საოპერაციო ხარჯად.

16. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდა.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

17. საგადასახადო კანონმდებლობა

კომპანია მოქმედებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრულ ვადებში იხდის კუთვნილ გადასახადებს, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები არ აქვს.

29 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

18. მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის (კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები - გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადილე და ფინანსური დირექტორი) ანაზღაურება - ხელფასი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს: 2023 წ. - 377,685 ლარი, 2024 წ. - 475,811 ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე - 13.03.2025 თარიღში, განხორციელდა ცვლილება:

- ხელმძღვანელობითი ორგანოს სტრუქტურაში. კერძოდ, გენერალური დირექტორის პოზიცია შეიცვალა დირექტორის პოზიციით (დირექტორის პოზიციას იკავებს - ვაჟა ლომიძე);
- მმართველობითი ორგანოს წევრების (სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - დავით ლომიძე, წევრები: გრიგოლ ლომიძე და მანანა ლომიძე);
- სადამფუძნებლო შეთანხმების. კერძოდ, განხორციელდა მფლობელების მიერ დამატებით ინვესტიცია - სააქციო კაპიტალის ზრდა (სააქციო კაპიტალმა შეადგინა - 100,000 ლარი)

აღნიშნული ცვლილებები არ ახდენს გავლენას ანგარიშგებულ ფინანსურ მაჩვენებლებზე, თუმცა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას საწარმოს მმართველობითი სტრუქტურის და მომავალი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის.